



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 8 ივლისი

დისციპლინური საქმე №73/21  
მოსამართლე -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 24 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 25 ივნისის №275/73-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქმეზე იკვეთება სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება სოციალური ზეგავლენით და ასევე მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარი გამჟღავნების ფაქტი.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2021 წლის 26 აპრილს, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნით (-- -- აშშ დოლარი). მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 27 აპრილის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხის საბანკო ანგარიშების დაყადაღებაზე.

მოსარჩელე -- -- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ასევე იშუამდგომლა 2021 წლის 17 ივნისს.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 17 ივნისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოპასუხე -- -- საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე -- -- დაყადაღებაზე.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 17 ივნისის განჩინება -- -- გაასაჩივრა.

-- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 ივნისის განჩინებით -- -- საჩივარი -- --  
- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის განჩინებაზე, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საჩივრის განხილვა ამ ეტაპისათვის არ დასრულებულა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევადგინოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების კრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად „მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მოსამართლეს, მის მიერ მიღებულ განჩინებებში, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, იკვეთება ის გარემოება, რომ მას წინასწარ აქვს საქმეზე აზრი ჩამოყალიბებული და არ აპირებს სარჩელის დაკმაყოფილებას, ასევე მოსამართლე უფლებამოსილებას ახორციელებს სოციალური ზეგავლენით, რადგან მოპასუხე არის ცნობადი პირი.

მოსამართლე -- -- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს“, აქვე აღნიშნულია, რომ „სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე“, ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა თავისთავად ვერ მოახდენს გავლენას საბოლოო შედეგზე.

მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების შეფასებისას, მის მიერ საქმეზე საბოლოო შედეგის გამჟღავნებასა და სოციალური ზეგავლენით მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებაზე საუბარი მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან კონკრეტული საკითხის შეფასება მოსამართლის უფლებამოსილებას წარმოადგენს, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- 2021 წლის 24 ივნისის №-- საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**